ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 აპრილი N50/18 განკარგულებით შექმნილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი N 2

11.04.2022

დ. ხარაგაული

სხდომას ესწრებოდა ამავე განკარგულებით შექმნილი საბჭოს წევრები შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით კიკნაძე- გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე
2. ირმა ვაქერ-სებისკვერაძე გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
3. ჟანა ნემსაძე- გენდერული საბჭოს მდივანი
4. მანანა ბარბაქაძე- გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
5. ინგა ბერაძე-გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი
6. ლალი ვაქერ-სებისკვერაძე-გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
7. ვარლამ ჭიპაშვილი-გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
8. ეკა შველიძე-გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
9. მარინა ხველიძე-გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
10. ირინა ჩხეიძე- გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
11. ეკა შველიძე-გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
12. მამუკა ჭიპაშვილი- გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
13. იზა ვეფხვაძე-გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
14. მანან ტაბეშაძე-გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
15. ნანა კიკნაძე-გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
16. პავლე კიკალიშვილი- გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
17. ნიკოლოზ მაჭავარიანი-გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
18. გრიგოლ ჭიპაშვილი - გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი

დღის წესრიგი:

1. საბჭოს წევრების მიერ გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის მიხედვით გაწერილი აქტივობების პროექტების და ღონისძიებების სახით წარმოდგენა.

ინფ. /დ.კიკნაძე/

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით აპრილი, მაისი, ივნისის თვეში განხორციელებული აქტივობების შესახებ მოკლე ინფორმაციის წარდგენა.

ინფ. /ი. ვაქერ-სებისკვერაძე

მოისმინეს:

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს მიესალმა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე დავით კიკნაძე.

და საბჭოს წევრებს ინფორმაცია მათ მიერ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ერთად განსახორციელებელი, იმ კონკრეტული აქტივობების შესახებ სთხოვა, რომლებიც გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმით გაწერილ მიზნებს, ამოცანებს და საქმიანობებს შეესაბამება.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით აპრილის, მაისის და ივნისის თვეში განხორციელებული აქტივობების შესახებ საბჭოს წევრებს მოკლე ინფორმაცია წარუდგინა საბჭოს მოადგილემ ირმა  ვაქერ-სეხისკვერაძემ.

აზრი გამოთქვეს:

საბჭოს წევრმა **მამუკა ჭიპაშვილმა** აღნიშნა, რომ ძალიან კარგი იქნება შეიქმნას  ხარაგაულის გენდერული საბჭოსათვის ლოგო. ლოგოს შესაქმნელად კი გამოცხადდეს კონკურსი.

**დავით კიკნაძემ**, საბჭოს წევრებს განუცხადა რომ ძალიან კარგი იქნებოდა გაგრძელებულიყო პროექტი „მამა მიკითხავს ზღაპარს" , რომელიც ტარდება ხარაგაულის  ა(ა)იპ ე.კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღში. და იქვე დაანონსა რომ  ეს ღონისძიება ჩატადებოდა 18 მაისს.

საბჭოს წევრმა **ჟანა  ნემსაძემ** აღნიშნა , რომ ძალიან კარგი იქნებოდა ახალგაზრდებისთვის შეხვედრების ჩატარება წარმატებულ ადამიანებთან, რომლებიც მათ სწორ გაზას უჩვენებდნენ და დაეხმარებოდნენ სამომავლო პროფესიის არჩევაში.

**იზა ვეფხვაძემ**  შშმ პირთა და სოციალურად დაუცველი ქალების მიერ შექმნილი ნამუშევრების გამოფენა გაყიდვა ჩატარება.

**მანანა ტაბეშაძე** დაინტერესებულია , რომ ხარაგაულელი  ბავშვებისათვის შეკეროს  ზღაპრის გმირების ფორმები, რომელსაც ახალგაზრდები გამოიყენებენ სხვადასხვა ღონისძიებებისათვის.

საბჭოს წევრმა **ირმა  ვაქერ-სეხისკვერაძემ**  დააყენა საკითხი , შეიქმნას გენდერულად დაბალანსებული ახალგაზრდული საკრებულო, რომელიც დაკომპლექტდება 9, 10 ,11 კლასის მოსწავლეებით. ამ თემის დაორგანიზება კი დაევალოს , საბჭოს წევრებს,  განათლების ,

კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს მარინა ხვედელიძესა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის, ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს ლალი ვაქერ-სეზისკვერაძეს.

საბჭოს წევრმა **მარინა ხვედელიძემ** გამოთქვა სურვილი რაიონის წარმატებული მოსწავლეებს სამოტივაციოდ მოვუწყოთ ერთი იმიტირებული დღე, სადაც ისინი იქნებიან როგორც საკრებულოს მოქმედი დეპუტატები.

**ინგა ზერაძემ** საბჭოს სხდომის დასარულს აღნიშნა, რომ ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭო უახლოეს მომავალში უფრო ქმედით ნაბიჯებს გადადგამს და სამომავლოდ, საბჭოს წევრებთან ერთად საჭიროებებზე მორგებულ, ერთობლივ, პროექტებს შეიმუშავებს.

ინგა ზერაძის განცხადებით, უახლოეს მომავალში, გენდერული თანასწორობის საბჭოს ექნება აქტივობები, რომელთა მთავარი მიზანი გენდერული თანასწორობის თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იქნება.

ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭოს
თავმჯდომარე

დავით კიკნაძე

გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი

ინგა ზერაძე